



საქართველოს სამოქალაქო  
საზოგადოების განვითარების ასოციაცია  
GEORGIAN CIVIL SOCIETY DEVELOPMENT  
ASSOCIATION

მისამართი: ქ. თეთრიწყარო,  
მუსხელიშვილის 11  
ტელეფონი: 899 25 70 40  
ელ. ფოსტა: acsdg@caucasus.net

№ 01/02-46

29 ნოემბერი, 2011 წელი

საგარო ინფორმაციის მოწოდების თაობაზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს,  
რამაზ ნიკოლაიშვილს

ბატონო რამაზ,

ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ 2011 წლის სექტემბრის ბოლოს დაიწყო ქ. თეთრიწყაროს სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ვინაიდან ქ. თეთრიწყაროს მოსახლეობისთვის სასმელი წყლის პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია სხვა პრობლემებს შორის და შესაბამისად, ინტერესი ამ სარეაბილიტაციო პროექტის მიმართ ძალზე დიდია, სხვადასხვა საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციები დაგეგმილი სამუშაოების თაობაზე ერთმანეთს არ ემთხვევა<sup>1</sup>, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობა ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს, გთხოვთ გვაცნობოთ:

1. ზოგადად რა სახის სამუშაოებია დაგეგმილი ამ პროექტის ფარგლებში;
2. ქალაქის რომელ ქუჩებზე იცვლება სასმელი წყლის მაგისტრალი;
3. რა კრიტერიუმით და ვინ (რომელმა უწყებამ) შერჩია სარეაბილიტაციო ქუჩების ჩამონათვალი?
4. კონკრეტულად რა სახის სამუშაოებია ჩასატარებელი ამ პროექტის ფარგლებში სათავე ნაგებობებზე და რომელ მათგანზე;
5. რა ვადებში უნდა შესრულდეს ქ. თეთრიწყაროს სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
6. სარეაბილიტაციო პროექტი გახდება თუ არა ქ. თეთრიწყაროში წყალზე ხელმისაწვდომობის (ფასი, უწყვეტობა, ხარისხი) გარანტი;

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის,  
პატივისცემით,

გულიკო შიშიტაშვილი  
ასოციაციის თავმჯდომარე

<sup>1</sup> ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერი“, (29.11.11, 15 სთ); და <http://water.gov.ge/geo/> - რაც თვის შიშრე არ ემთხვევა სატენდერო განცხადებაში მოყვანილ დაგეგმილ სამუშაოთა ჩამონათვალს.